

შპს „გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი“

„ვამტკიცებ“

რექტორი, პროფესორი

..... გიორგი მათიაშვილი

ბრძანება № 01-01/08

“ 10 “ თებერვალი 2011 წ.

სასწავლო პროცესის ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის

დებულება

თბილისი

## მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. „გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი“-ს (შემდგომში „უნივერსიტეტი“) სასწავლო პროცესის ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური (შემდგომში „სამსახური“) წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს.
2. აღნიშნული დებულება განსაზღვრავს სამსახურის სამართლებრივ სტატუსს, ფუნქციებსა და ამოცანებს, მართვის ორგანიზაციას და სტრუქტურას, აგრეთვე მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს.
3. „გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი“-ს სასწავლო პროცესის ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის შინაგანაწესით, ამ დებულებით და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა წესებით

## მუხლი 2. სასწავლო პროცესის ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

### 2.1. სამსახურის ძირითადი ამოცანებია:

სამსახურის ძირითადი ამოცანას წარმოადგენს, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების საფუძველზე უნივერსიტეტის სტუდენტთათვის, ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალისთვის, სწავლის, შრომისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შესაბამისი ტექნიკური პირობების შექმნა.

### 2.2. სამსახურის ძირითადი ფუნქციებია:

ა) უნივერსიტეტის საერთო კომპიუტერული ქსელის შექმნა, მისი მართვა და სისტემატიური განახლება-გაფართოება, მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ახალი მომხმარებლების ჩართვისათვის საჭირო სამონტაჟო და პროგრამული სამუშაოების ჩატარება;

ბ) უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტის სერვერის გამართული მუშაობა და მასში ახალი მომხმარებლების რეგისტრაცია, საფოსტო ყუთების დაცვა და დარეზერვება. შესაბამისი ვებ ინტერფეისის ქართულენოვანი ვარიანტის შექმნა და დახვეწა; სხვადასხვა საფოსტო პროგრამების კონფიგურირება სერვერთან დაკავშირების მიზნით; არასაჭირო გზავნილებისაგან (სპამი) დაცვა; ფოსტის სერვერის ფუნქციონირების სტატისტიკური დამუშავება და თვალსაჩინო ინტერპრეტაცია.

გ) უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდის მუდმივი ოპერატიული განახლება, უნივერსიტეტის სტრუქტურული ქვედანაყოფებისათვის ხელშეწყობა პერსონალური

კომპიუტერების გამოყენებასთან დაკავშირებით; ვებ-გვერდების ფუნქციონირების სტატისტიკური დამუშავება და თვალსაჩინო ინტერპრეტაცია.

დ) უნივერსიტეტის მონაცემთა კომპიუტერული ბაზების მომხმარებელთა სარგებლობის უზრუნველყოფა. ბაზის სერვერების დარეზერვება და უსაფრთხოების უზრუნველყოფა

ე) უნივერსიტეტის ინტერნეტ დომენის შექმნა და ქვედომენების ჩამოყალიბება. დომენური სახელების სერვერის გამართული ფუნქციონირება;

ვ) უნივერსიტეტის კომპიუტერული ტექნიკისათვის სტანდარტული პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია, პროგრამული დარღვევების აღმოფხვრა, ვირუსებისაგან გაწმენდა და კომპიუტერული ტექნიკის მოდერნიზაცია.

ზ) უნივერსიტეტის ელექტრონულ მონაცემთა ბაზ(ებ)ით მომხმარებელთა სარგებლობის უზრუნველყოფა დადგენილი წესით. მონაცემთა ბაზ(ებ)ის სერვერების დარეზერვება და უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

თ) სხვადასხვა საფინანსო პროგრამების ბანკებთან კავშირის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

ი) პრეზენტაციებისათვის შესაბამისი აპარატურისა და ელექტრონული მასალის მომზადებაში ადმინისტრაციის ხელმძღვანელობისათვის დახმარების გაწევა;

კ) ვიდეოკონფერენციებისათვის ქსელური მხარდაჭერის კონფიგურირება და შესაბამისი აპარატურის მომზადება და გამართული ფუნქციონირება;

ლ) კომპიუტერული და ქსელური ტექნიკის საგარანტიო უზრუნველყოფის ექსპერტიზა და განხორციელებაში მონაწილეობის მიღება;

მ) უნივერსიტეტის აკრედიტაციისათვის კომპიუტერული ტექნიკის ინვენტარიზაციის პროცესში მონაწილეობის მიღება და უნივერსიტეტის მიერ კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვების განხორციელებისათვის ტექნიკური სპეციფიკაციის მასალების მომზადება;

ნ) უნივერსიტეტის კომპიუტერული ქსელის ინტერნეტმომწოდებლებთან ურთიერთობა და ინტერნეტთან წვდომის ხარისხის კონტროლი;

### **მუხლი 3. სამსახურის მართვა და სტრუქტურა**

3.1. უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს რექტორი. უფროსის არყოფნის შემთხვევაში მის ფუნქციებს ახორციელებს განყოფილების მთავარი სპეციალისტი;

3.2.სამსახური თავის საქმიანობაში ანგარიშვალდებულია უშუალოდ უნივერსიტეტის რექტორის წინაშე;

3.3.სასწავლო პროცესის ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურში არის ორი საშტატო თანამდებობა: სამსახურის უფროსი და მთავარი სპეციალისტი.

3.4. სამსახურის უფროსი:

ა) აძლევს მითითებებსა და დავალებებს მთავარ სპეციალისტს.

ბ) ასრულებს უნივერსიტეტის კომპიუტერული ქსელისა და სერვერების ადმინისტრატორის ფუნქციას;

გ) უზრუნველყოფს მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფას,

დ) იხილავს სამსახურის მიერ შესრულებულ სამუშაოთა მასალებს და გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგენს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას;

ე) პასუხისმგებელია ცენტრის თანამშრომლების მიერ შრომითი დისციპლინის დაცვაზე;

ვ) პასუხისმგებელია კომპიუტერული ქსელის გამართული ფუნქციონირებასა და უსაფრთხოებაზე;

ზ) ახდენს უნივერსიტეტის კომპიუტერული ქსელის განვითარებისათვის საჭირო კვლევისა და ანალიზის წარმოებას და რეალიზაციას;

თ) ახორციელებს ამ დებულებით, და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა წესებით განსაზღვრულ ფუნქციებსა და დავალებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

3.5.სამსახურის მთავარი სპეციალისტი:

ა) ასრულებს სამსახურის უფროსის მითითებებსა და დავალებებს;

ბ) ახორციელებს დებულების 2.2 მუხლში მითითებულ უფლებამოსილებებს.

#### **მუხლი 4. დასკვნითი დებულებები**

სასწავლო პროცესის ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის დებულების გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა და დამტკიცება ხორციელდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.